

**ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის ტრიაფი და
გამოცდილებათრონდომი: ქართული და
უკრაინული პრაქტიკების კვლევა.¹**

შესავალი:

სტატიაში განხილულია ქართული და უკრაინული ტრადიციული მრავალხმიანობის პრაქტიკა მათი სამშობლოს გარეთ და საუბარია ამ ორი მუსიკალური ფორმის პრაქტიკის შესახებ თორონტოსა და მის შემოგარენში. იმის მიუხედავად, რომ ეს მუსიკა არც ადგილობრივ სამყაროში და არც საგუნდო მუსიკის სცენაზე დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, აღსანიშნავია, რომ მუსიკის ამ ორ სახეობას თორონტო მასპინძლობას 1990-იანი და 2010-იანი წლებიდან უწევს.

თორონტოში ტრადიციული მრავალხმიანობა გულისხმობს მრავალხმიანი ხალხური სიმღერების შესრულების პრაქტიკას, რომელსაც ასრულებს ხალხური სიმღერებით გატაცებული მომღერლების მცირე ჯგუფი, რომელიც ავთენტური პროდუქტისა და გამოცდილების ერთგულია, და რაც სცილდება უბრალოდ სასცენო შესრულებას. ამ სიმღერაში არ გამოიყენება კლასიკური ან აკადემიური ვოკალური ხმოვანება. ზედა პარტიაში აქ ხშირად მხოლოდ ერთი ან ორი ზედა ხმა ისმის და შესრულებაში ხშირია მცირე ვარიაციები/იმპროვიზაცია. უკრაინული რეპერტუარი უმეტესად ქალთა სარიტუალო სიმღერებია და ამიტომ მას როგორც წესი, ქალები ასრულებენ და არა მამაკაცები. ქართული რეპერტუარი, პირიქით, უმეტესად მამაკაცთა სიმღერებისგან შედგება - ასე რომ, შემსრულებლები მამაკაცები არიან, თუმცა ხშირად შერეული ჯგუფის მიერაც სრულდება.

ამ მრავალხმიანი პრაქტიკების სამშობლოს, დიასპორის შემადგენლობის, ინსტიტუციური მხარდაჭერის, გენდერისა და მუსიკალური პრაქტიკის მულტიდისციპლინური კონტექსტის მსგავსი საკითხების განხილვით, გათვალისწინებით უფრო ნიუანსირებულ შეხედულებას იმის შესახებ, თუ როგორ არსებობს ეს სასიმღერო პრაქტიკები, როგორც ტრანსნაციონალური მუსიკალური ტრადიციები, გამოვყოფ ავთენტურ და მდგრად მახასიათებლებს, და ასევე მათი არსებობის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

პირველ რიგში განვიხილავ ქართულ მრავალხმიანობას - ვისაუბრებ

¹ მოხსენება ეფუძნება იმავე თემაზე ჩემს მიერ ცოტა ხნის წინ დაწერილ სტატიას (2023) და მოიცავს განახლებულ მასალას ქართული და უკრაინული პრაქტიკების შესახებ თორონტოში.

რამდენად მნიშვნელოვანი იყო 2000-იან წლებში დაწყებული მისი ალორძინების მცდელობები, რამაც შექმნა ამ მუსიკალური ფორმის მხარდაჭერის მყარი ინფრასტრუქტურა და გააცოცხლა ეს მუსიკალური პრაქტიკა საქართველოს ყველა რეგიონში. ამ მხარდაჭერას ტორონტოს შედარებით ახალ დიასპორამდე არ მიუღწევია. მაგრამ გავლენა მოახდინა ტორონტოში მცხოვრებ არაქართველებზე – მათ დაიწყეს ქართული მრავალხმიანობის შესწავლა, რაც ხაზს უსვამს ტორონტოში ზოგადი პრაქტიკის საინტერესო მახასიათებელს: მას ასრულებს ორი განსხვავებული ჯგუფი - ქართველები და არაქართველები. ქართულისგან განსხვავებით, მიუხედავად მისი ფართო გავრცელებისა უკრაინულ მრავალხმიან ტრადიციას ასეთი ინსტიტუციური მხარდაჭერა არ ჰქონია უკრაინაში. ეს მუსიკალური ფორმა უკრაინელების კოლექტიურ ცნობიერებაში პოპ კულტურისა და ფიუჟენ ჯგუფების მეშვეობით მოხვდა, განსაკუთრებით უკრაინის სუვერენიტეტის საფრთხის საპასუხოდ. თუმცა, ტორონტოში უკრაინული მრავალხმიანობის მდგომარეობა, როგორც ჩანს, ნაკლებად არის ამაზე დამოკიდებული; უფრო მეტად კი საუკუნეზე მეტი ხნის დიასპორის ფარგლებში არსებული მარგინალური ჯგუფის რეაქციაზე, უკვე ჩამოყალიბებული, მაგრამ ერთგვარად დამთრგუნველი უკრაინული კულტურული ინფრასტრუქტურის მიმართ. მსურს ასევე აღვნიშნო, რომ ტორონტოში უკრაინული მრავალხმიანობის პრაქტიკაში არაუკრაინელებიც არიან ჩართული, მაგრამ ქართული მრავალხმიანობისგან განსხვავებით ისინი ერთგვაროვან ჯგუფად არიან ერთმანეთში შერეული.

და ბოლოს, ორივე მრავალხმიანი პრაქტიკისთვის მუსიკის ღირებულება განისაზღვრება არა სიმღერის შესრულებით, არამედ იმ კავშირებით რომლებსაც ის სხვა გამოცდილებებთან ურთიერთობის გზით ამყარებს. ეთნომუსიკოლოგმა ტომას ტურინომ ამას ერთობლივი შესრულება უწოდა, პრეზენტაციული შესრულებისგან (ან სცენური დადგმებისგან) განსხვავებით. ტორონტოში ქართული სიმღერების შემსრულებლებისთვის – დიასპორიდან იქნებიან ისინი თუ არა – სუფრა (ქეიფის/სადღეგრძელოების ტრადიცია) და მასთან დაკავშირებული სტუმართმოყვარეობის განცდა ხელს უწყობს პრაქტიკის ჩამოყალიბებას. უკრაინელებისთვის ქეიფი მნიშვნელოვანია, მაგრამ ის უფრო ფართო ტრადიციის ნაწილია, რომელიც კალენდარული დღესასწაულების აღნიშვნას წარმართული ფესტივალების ნარჩენებით გულისხმობს, რომლებიც თამაშებს, აქტივობებსა და ატრიბუტიკას მოიცავს. ორივე შემთხვევაში, ეს „ერთობლივი შესრულებები“ აუცილებელია იმისათვის, რომ მუსიკა გაცილებით ხელშესახები, ავთენტური და სიცოცხლისუნარიანი გახდეს.²

² იხ. ვიდუო მაგალითი #1 თითოეული ნიმუშისთვის

ქართული მრავალხმიანობა-მთავარი გმირი

3.7 მილიონი მოსახლეობით, საქართველო (რომელიც მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს, კავკასიის მთიან რეგიონში) არის პატარა ქვეყანა, რომელიც ბერძნული ლეგენდებისა და უძველესი ცივილიზაციების არქეტიპებთან ასოცირდება. ის გამოირჩევა მღელვარე წარსულით, რომლის დიდი ნაწილი ომებსა და ოკუპაციაში გაატარა. ამის მიუხედავად, ქართველები, რომლებსაც მიგრაციის შესახებ არანაირი აღსანიშნავი მითი არ გააჩნიათ, გადარჩნენ და განაგრძობენ ამ მიწაზე საკუთარი თავის იდენტიფიცირებას წინაპრების მემკვიდრეობით პრეტენზიებთან. მათი ტრადიციული მრავალხმიანობის უნიკალურობა და მხატვრულობა ამ მტკიცებულებებს აძლიერებს, მრავალხმიანი ხალხური სიმღერები კი დიდი ხანია ქართული კულტურის მთავარი გმირია როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თუმცა, ამ მუსიკალურ ფორმას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა – რეპრესიული მმართველობისა და მოდერნიზმების მხრიდან. ხალხური პრაქტიკის აღორძინების მცდელობები 1960-იან წლებში იწყება, და ინტენსიური სახე 2000-იან წლებში მიიღო, როდესაც იუნესკომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა „კაცობრიობის ზეპირი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედეგად“ გამოაცხადა. მას შემდეგ, ოფიციალური მთავრობის პოლიტიკამ, ინსტიტუციონალიზებულმა მხარდაჭერამ, პუბლიკაციების, პროექტებისა და ფესტივალების საგარეო და შიდა დაფინანსებამ, ეროვნულმა რიტორიკამ და ადგილობრივმა პრაქტიკებმა მთელ საქართველოში და, ფაქტობრივად, საქართველოს მთელ მსოფლიოში სახელი მრავალხმიანობით გაუთქვა. იუნესკოს მიერ ინიცირებულმა ამ აღორძინების პროექტებმა ეფექტურად შეუწყო ხელი მრავალხმიანი ფოლკლორული პრაქტიკების პოპულარიზაციას და სოფლად დაბრუნებას კულტურული ეკონომიკის შექმნის გზით, რამაც განაპირობა ისეთი ინსტიტუტებისა და პროგრამების კომპლექსური ინფრასტრუქტურის შექმნა, როგორიცაა:

- ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის შექმნა, რომელიც მასპინძლობს საერთაშორისო მეცნიერებსა და კონფერენციებს, აქვეყნებს წიგნებსა და ბიულეტენებს და ხელს უწყობს ქართული მრავალხმიანობის შესახებ კრიტიკულ საერთაშორისო დიალოგსა და სამეცნიერო კვლევას.
- ფოლკლორის სახელწიფო ცენტრის მიერ რეგიონებში 32 სალოტბარო სკოლის შექმნა, სადაც ნიჭიერ ბავშვებს ხალხურ მუსიკაში უფასოდ შეუძლიათ განათლების მიღება.³

³ იხ. ვიდეო მაგ. #2, ფრაგმენტები სალოტბარო სკოლების 2019 წლის ფესტივალიდან, 11 ქალაქიდან 400 ბავშვის მონაწილეობით.

- ფოლკლორის სახელწიფო ცენტრი აცოცხლებს საბჭოთა ფოლკლორულ „ოლიმპიადებს“ ეროვნული ფოლკლორული ფესტივალის სახელით, რაც არა მხოლოდ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს ანსამბლების შექმნის სტიმულს აძლევს, არამედ ქართული მრავალხმიანობის ავთენტური მუსიკალური თვისებების მკაფიო მითითებებსაც იძლევა და ამით წარსულის საბჭოთა თუ თანამედროვე პოპულარული მუსიკალური გავლენის არასწორ სახელწოდებებსაც ებრძვის.

- ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, ფოლკლორის სახელწიფო ცენტრის გაგრძელება - რომელიც აგროვებს და გამოსცემს მემუარებს, მუსიკალურ კრებულებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს, საექსპედიციო ჩანაწერებს ელექტრონული სახით.

ამის შედეგად, მთელი საქართველოს მუსიკალური ლანდშაფტი, მათ შორის სოფლის რეგიონებიც, მკვეთრად შეიცვალა. უფრო გამოცოცხლდა რადგან მეტი მომღერალი ოჯახი გაჩნდა და მეტი ანსამბლი შეიქმნა. თუმცა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ეს მუსიკალური პრაქტიკა ვერ იქნებოდა ასეთი შთამბეჭდავი და ასეთი ენთუზიაზმით ვერ შენარჩუნდებოდა, მხოლოდ სცენისთვის ან ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ავთენტურობის პრინციპების დასაცავად რომ გამოეყენებინათ.

ქართული სიმღერები გაცილებით უფრო შინაარსიანი ხდება, როდესაც მათი შესრულება შერწყმულია სუფრის ან მსგავსი სოციალური კონტექსტის რთულ ინტერდისციპლინურ გამოცდილებასთან - რასაც ტომას ტურიჩო ერთობლივ შესრულებას უწოდებდა.

სუფრა ქართული ნადიმისა და სადღეგრძელოების ტრადიციას, რომელიც გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე უბრალოდ ქართული სამზარეულოს განსაკუთრებული კულინარიული შეგრძნებები და ქართული ღვინის დაღვევის ამალღებული გამოცდილებაა. ეს ქართველების სტუმართმოყვარეობის ძლიერი გრძნობისა და სიცოცხლისადმი მადლიერების გამოხატულებაა. მრავალი დახვეწილი სადღეგრძელოთი და სიმღერებით გაფორმებული სუფრა კეთილდღეობის, კოლექტიური რეფლექსიისა და სოციალური ერთიანობის ღრმა გრძნობებს აღძრავს. ქართველები თვლიან, რომ შეუძლებელია ქართული მრავალხმიანობის შეცნობა სუფრისა და ამ გრძნობების განცდის გარეშე. თუ კონცერტები, ფესტივალები და სიმღერების ოფიციალური პრეზენტაციები სამიზნე მარკერებს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს მუსიკალური პროდუქტის განსაზღვრას და პრაქტიკოსებისთვის მიზნების დასახვას, ამ ტრადიციის ქეშმარიტი ასპექტი სოციალურ გამოცდილებაში არსებობს.

ქართული მრავალხმიანობა სამშობლოს ფარგლებს გარეთ

ქართული მრავალხმიანობის მუსიკალურ პრაქტიკას ქვეყნის გარეთ არ აქვს ისეთი ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, როგორც საქართველოში. პრაქტიკულად არ არსებობს სკოლები, კულტურული ცენტრები ან ორგანიზებული ფესტივალები.⁴ მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული გამოცემები უდიდეს გავლენას ახდენენ უცხოელ მკვლევრებსა და მომღერლებზე, საინტერესოა, რომ ისინი დიასპორამდე ვერ აღწევენ - თუ არ ვსაუბრობთ „გულშემატკივარ დიასპორაზე“, რომელსაც აღორძინების მკვლევარი ქეროლაინ ბითელი აღწერს, როგორც ადამიანებს, რომლებიც იმდენად არიან მოხიბლულნი და ჩართულნი ქართული მრავალხმიანობაში, რომ საქართველოს „სუროგატ სამშობლოდ“ აღიქვამენ და სხვა ქართველ მომღერლებთან „კვაზი ნათესაურ კავშირებს“ ქმნიან (Bithell, 2014:593). ასეთი გულშემატკივარი დიასპორის ძლიერი და ექსპრესიული საზოგადოება თორონტოში 1990-იანი წლებიდან არსებობს. ამის საპირისპიროდ, თორონტოს ნამდვილი ქართული დიასპორა გაცილებით ნაკლებად არის ჩართული ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობაში.⁵

გულშემატკივარი დიასპორა

1990-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც თორონტოში მხოლოდ ერთი მუჭა ქართველები ცხოვრობდნენ, ქართული მრავალხმიანობის მოსმენა შეიძლებოდა ანსამბლ „დარბაზის“ შესრულებით, რომელიც შექმნა ალან გასერმა, ამერიკული სასიმღერო ჯგუფების „ქართული ანსამბლისა“ და „კავკასიის“ წევრმა (ორივე კოლექტივი მხოლოდ ქართულ რეპერტუარს ასრულებდა). თავდაპირველად „დარბაზი“ მომღერლების სპონტანურად შეკრებილი ჯგუფი იყო, რომელთაგან არცერთი იყო ქართველი და რომლებიც ორ თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ ქართული სიმღერების ჩარტების შესამოწმებლად. ჯგუფი ტალღისებურად პროგრესირებდა, – ამა თუ იმ მომენტში მისი ყველა წევრი გარკვეულ დროს საქართველოში ატარებდა, სადაც სიმღერის დიდოსტატებისგან სწავლობდა. გუნდმა გზა გაუხსნა თორონტოში ქართული მრავალხმიანი სიმღერის გავრცელებას - მათ შორის ისეთ კოლექტივებს, როგორიცაა „მაჭარი“, „ზარი“, „მეგობრები“, „ვოისა“ (მონრეალში), „ორი შალვა“, ასევე მრავალ საზოგადოებრივ და პროფესიულ გუნდსა და სახელოსნოს, რომლებიც ზემოაღნიშნულ გუნდებთან თანამშრომლობდნენ, რათა ქართული მუსიკა წარედგინათ თორონტოს

⁴ ეს ასეა ქართული სიმღერებისთვის, მაგრამ არა ტრადიციული ცეკვისთვის, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკაში რეგულარული ფესტივალები მასპინძლობს.

⁵ ქართული დიასპორა ჩრდილოეთ ამერიკაში, შედარებით ახალი ფენომენია, 2021 წლის აღწერით თორონტოში 2 000-ზე ნაკლები ქართველი ცხოვრობს, თუმცა სინამდვილეში ეს ციფრი სავარაუდოდ გაცილებით მაღალია.

უფრო ფართო საგუნდო და მსოფლიო მუსიკალური აუდიტორიისთვის. ძირითადად, ეს არაქართველი მომღერლების ჯგუფები იყო.

ბუნებრივია, კულტურულ გამოხატვაშიც ხდება რყევები და ცვლილებები, ხოლო COVID-თან დაკავშირებულმა იზოლაციამ, ურბანული ცხოვრების მზარდმა ფინანსურმა ტვირთმა და სხვა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა ყველა ამ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობასა და ქართული მრავალხმიანობის პრაქტიკაზე. რაც კვლავაც სიმართლეა, არის ის, თუ როგორ ამყარებს სასიმღერო პრაქტიკა, თავისი უნარების დონისა თუ შესრულების თავისებურებების მრავალფეროვნებით, ყოველთვის ღრმა და მნიშვნელოვან კავშირებს, რომლებიც არა მხოლოდ მუსიკალური პროდუქტის განვითარებაზეა ორიენტირებული, არამედ სიმღერის საშუალებით ქართული სიტბოს, სტუმართმოყვარეობისა და მაღლიერების წარუშლელ მოგონებებსაც ინვესტ.

ნამდვილი დიასპორის პრაქტიკა

მაშინ როცა, მომღერლები არა-დიასპორის წიალიდან არიან, როგორც წესი, ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერების უფრო ფართო სპექტრს იყენებენ. იგივეს ვერ ვიტყვით დიასპორის წარმომადგენელი მომღერლების უმეტესობაზე. ნამდვილ დიასპორას ქართული სიმღერების შესრულების შესაძლებლობა, ძირითადად, მომღერალ დიანა ირემაშვილის ან ეკლესიის მიერ ორგანიზებულ კონცერტებზე ეძლეოდა, ორივე შემთხვევაში, როგორც წესი, უფრო თანამედროვე სიმღერები სრულდებოდა. ტორონტოს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაარსებისთანავე 2010 წელს, ბავშვებისთვის მრავალხმიანი ხალხური სიმღერის გაკვეთილების ჩატარება დაიწყო კვირაობით. მაგრამ, მრავალი წლის განმავლობაში ეს უფროსაბავშვო ბალს ჰგავდა, ვიდრე გუნდის მუშაობას და არანაირი თვალსაჩინო შედეგი არ გამოუღია. 2017 წლის ბოლოს, „ქართული კულტურის ცენტრის ივერიონის“ და მალევე ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ივერიონის“ დროშის ქვეშ, ეკლესიამ შექმნა სიმღერისა და ცეკვის სტუდია. სიმღერა, ფაქტობრივად, უკვე აღწერილი კვირა დღის გაკვეთილების გაგრძელება იყო, თუმცა 2020 წლის დასაწყისისთვის, როგორც ჩანს, ის 12-18 წლის ასაკის ქალი მომღერლების მცირე ჯგუფად ჩამოყალიბდა, შეზღუდული რეპერტუარით და ხშირად რამდენიმე ხმით ზედა პარტიებში, ხოლო ხელმძღვანელები - ორივე მამაკაცი, ბანის პარტიას მღეროდნენ. ტრადიციული ცეკვის გაკვეთილების შემოტანა (ზვიადი აფთარაშვილის ხელმძღვანელობით) მნიშვნელოვანი იყო ტორონტოში მცხოვრები ქართული დიასპორის ემიგრანტული გამოცდილებისთვის, რომელიც რეალურად მხოლოდ ბოლო 2 წლის განმავლობაში განვითარდა, სავარაუდოდ, 2017 წლის ბოლოს მისი დაარსების შემდეგ ცეკვისთვის საჭირო უნარების სიმწიფის გამო. 2023

წლის დასაწყისიდან ანსამბლი „ივერიონი“ კანადასა და შტატების ზოგიერთ ნაწილში კონცერტებზე ასრულებს ქართულ ხალხურ ცეკვას, სიმღერასა და ინსტრუმენტულ მუსიკას (3-5 ბავშვის/ახალგაზრდისგან შემდგარი მეფანდურეთა ანსამბლი, ხანდახან მესალამურესთან ერთად, ვირტუოზი მეფანდურის დავით საკიძის ხელმძღვანელობით). კონცერტების უმეტესობა ადგილობრივ ქართულ თემს ან გულშემატკივარ მართლმადიდებელ თემებს უკავშირდება. თუმცა, სიმღერა არ არის წარმოდგენილი ბავშვების ან ახალგაზრდების გამოკვეთილი მომღერალი ჯგუფის მიერ, რომლებიც რეპერტუარს ავითარებენ. ეს არის შერეული ჯგუფი რომელიც შედგება მამაკაცი მუსიკალური ხელმძღვანელებისა და რამდენიმე ახალგაზრდა ქალისგან, რომლებიც ძირითადად ქალაქური სიმღერების ძალიან მცირე რეპერტუარს მღერიან, თუმცა ასევე აქვთ ერთი კახური და ერთი აჭარული ხალხური სიმღერა, ამ უკანასკნელს ჩონგურის ნაცვლად ფანდურის თანხლებით ასრულებენ. ეს სიმღერები სრულდება დახვეწილი და გემოვნებიანი ოსტატობით, თუმცა ისინი არ ასახავს სამშობლოში ქართული მრავალხმიანობის მრავალფეროვნებას, რეგიონულ ნაირგვარობას ან განახლებულ პრაქტიკებს.

ქართული მრავალხმიანობის მოსმენის ერთადერთი სხვა სივრცე არის სუფრა – იქნება ეს რესტორანი, საეკლესიო ღონისძიება თუ ვინმეს სახლი. მაგრამ, როგორც ეკლესიის გარეთ გალობის პრაქტიკის შემთხვევაში, შესრულებული სიმღერები არ ასახავს მრავალხმიანობის მასშტაბსა თუ მრავალფეროვნებას, ისინი ხშირად არ იცავენ ზედა ხმებში ერთხმიანი შესრულების წესს და სიმღერა ხშირად იჩრდილება ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით.

მიუხედავად იმისა, რომ „ორი შალვა“ ქართულ-კანადური ოჯახური ანსამბლის სახით ჩამოყალიბდა, როგორც „ზარისა“ და „დარბაზის“ განშტოება, იგი შეიძლება თორონტოს ნამდვილი ქართული დიასპორის ნაწილად ჩაითვალოს, ამ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ უნიკალურ გარემოებას თავისი ფართო რეპერტუარით, რომელიც ასახავს რეგიონალური სტილების მრავალფეროვნებას, რთულ მრავალხმიანობას, ასევე უფრო პოპულარულ ფორმებს. როგორც ხშირად ხდება კულტურული გამოხატვის ცვალებადობის შემთხვევაში, მათი კავშირი როგორც ქართულ, ასევე ქართველების მიმართ სიმპატიით განწყობილ თემებთან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შესუსტდა. მაგრამ ყალიბდება ახალი ურთიერთობები სხვა კულტურულ ჯგუფებთან და მათ ხშირად სთხოვენ სადღეგრძელოებითა და სიმღერებით შუამავლობას ღონისძიებებზე, სადაც არა მხოლოდ მათი, არამედ უკრაინელების, ბელარუსების, ბულგარელების და სხვათა სიმღერებიც შესრულდება. ეს თორონტოს ნამდვილ კულტურულ ფენომენად უნდა განვიხილოთ, შეძლებენ თუ არა (და როგორ) ქართული თემები

(ნამდვილი და გულშემატკივარი დიასპორები) ამ გზით განვითარებას და სვლას. ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორც ტორონტოს ნამდვილი კულტურული ფენომენი, შეძლებენ თუ არა და როგორ განვითარდებიან ქართული თემები (ნამდვილი და გულშემატკივარი დიასპორები) ამ გზით. თუმცა, ამ ეტაპზე ცხადია, რომ ქართულ მრავალხმიანობას მეტი მხარდაჭერა სჭირდება ნამდვილი დიასპორის მხრიდან რომ მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდეს სამშობლოს გარეთ.

უკრაინული მრავალხმიანობა სამშობლოში

მაშინ როცა რომ საქართველოში ტრადიციული მრავალხმიანობა მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ბოლო დრომდე უკრაინელებისთვის მათი მრავალხმიანი სიმღერების დიდი ნაწილი შეუმჩნეველი და მივიწყებული იყო უკრაინის სოფლურ ყოფაში. საინტერესოა, რომ ტორონტოში უკრაინული დიასპორა 1900-იანი წლებიდან არსებობს და მისი რიცხვი ტორონტოს ოფიციალურ ქართულ დიასპორას სულ მცირე 70-ჯერ აღემატება, ამიტომ ტორონტოში მცხოვრებმა უკრაინელებმა წარმოუდგენელი კულტურული ინფრასტრუქტურა შექმნეს. თუმცა, ტორონტოში უკრაინული მრავალხმიანი სიმღერების შესრულება შედარებით ახალია და მას მცირე, მარგინალური საზოგადოება იყენებს, რომელიც გარკვეულწილად კონკურენციას უწევს ამ კულტურულ ინფრასტრუქტურას.

უკრაინას შთამბეჭდავი ტერიტორი უკავია; ის ევროპაში სიდიდით მეორე ქვეყანაა. საქართველოს მსგავსად, ისიც იყო და კვლავაც რჩება კონკურენტი უფრო დიდი სახელმწიფოების თავდასხმის სამიზნედ; ბრძოლის, გადარჩენისა და მტრების ხელით სიკვდილის შესახებ მოგვითხრობს უამრავი ხალხური სიმღერის ტექსტი. უკრაინის მუსიკალური ლანდშაფტი, ისევე როგორც თავად ქვეყანა, ვრცელი და მრავალფეროვანია. სოფლის ვოკალური მრავალხმიანობა ტრადიციული ხალხური მუსიკის მრავალი სახეობიდან მხოლოდ ერთ-ერთია.

უკრაინული მრავალხმიანობის რამდენიმე მაკრო მახასიათებელი: მრავალფეროვნება მერყეობს უკრაინის დასავლეთ ნაწილში არსებული მარტივი ტერციული ჰარმონიებიდან პოლისიესთვის დამახასიათებელი არქაული ჟღერადობის რიტუალურ სიმღერებსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ უკრაინაში არსებულ რთულ მრავალხმიანობას შორის. ასევე მნიშვნელოვანია ჰეტეროფონია შუა ხმაში (და ზოგჯერ ბანშიც), რაც ინდივიდუალური გამოხატვის საშუალებას იძლევა და შეიძლება განვიხილოთ, როგორც უკრაინელებისთვის ასე ძვირფასი თავისუფალი ნების მეტაფორა.

უკრაინული მრავალხმიანობის დამახასიათებელი კიდევ ორი მნიშვნელოვანი და განსხვავებული მახასიათებელია მისი სიფართოვე და

ბუნდოვანება. მისი მასშტაბურობის საჩვენებლად საკმარისია განვიხილოთ მრავალხმიანობის პროექტი (www.polyphonyproject.com), ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომელიც 2014 წელს დაიწყო და თერთმეტი ეთნოგრაფიული რეგიონის 2000-ზე მეტ სიმღერას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ უკრაინელი ეთნომუსიკოლოგები, რომლებიც უკრაინულ მრავალხმიანობას იკვლევენ, ისინი ძალიან ცოტანი არიან, ძირითადად უკრაინაში ცხოვრობენ და თავისი ცოდნით იზოლირებული არიან –

ეს ნაწილობრივ ხსნის უკრაინული მრავალხმიანობის ბუნდოვანებას. თუმცა, ისტორიულად, უკრაინელი ეთნომუსიკოლოგების მხრიდანაც კი არსებობდა დამაკნინებელი დამოკიდებულება (იხ. *Jordania* 2006: 68-69). ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრავალხმიანობის პროექტის, რომელიც მხოლოდ 2014 წელს შეიქმნა, ინიციატორი იყო უნგრელი და არა უკრაინელი. კითხვაზე თუ რატომ შეირყა უკრაინული მრავალხმიანობა, პასუხის გაცემა აქ არ შემძღია. თუმცა, როგორც ჩანს, ხდება რუსული და დასავლური კოლონიური ღირებულებების ნატურალიზაცია, რომლებიც უკრაინულ ხალხურ სიმღერებს, განსაკუთრებით ქალთა რეპერტუარს, არქაული, მარტივი, უდისციპლინო, ღარიბი გლეხური კულტურის რელიქვიებად მიიჩნევენ, რომელიც ყურადღების ღირსი არ არის. ამასობაში, ხდება ინსტრუმენტული და მამაკაცთა კობზარის ტრადიციების წინ წამოწევა და ლეგიტიმაცია, როგორც „ხელოვნების“, დახვეწილი საკრავების, რთული მელოდიების; და, კობზარების შემთხვევაში, ისტორიული ნარატივების გამოყენებით.

მაგრამ, არსებობს რამდენიმე შესანიშნავი ეთნოგრაფიული ანსამბლი,⁶ და მათი რაოდენობა მატულობს. მიმდინარეობს აღორძინება, რომელიც მოიცავს ფესტივალების, სემინარებისა და კულტურული ცენტრების მზარდ ქსელს, რაც სივრცეს ქმნის მრავალხმიანობისთვის. თუმცა, თუ ამ ჯგუფების რაოდენობას ერთ სულ მოსახლეზე საქართველოსთან შევადარებთ, მათი რიცხვი მკვეთრად ნაკლებია. საქართველოსგან განსხვავებით, ფოლკლორულმა სულისკვეთებამ (მრავალხმიანობის ჩათვლით) ძლიერი გამოხატულება პოპ. მუსიკაში ჰპოვა.

1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 2014 წლის „ღირსების რევოლუციის“ შემდეგ, ფოლკლორული მოტივების გამოყენება იმდენად მოდური გახდა, რომ - *Euromaidan Press*-ის სტატიის თანახმად, „როგორც ჩანს, ყოველ წამს რომელიღაც უკრაინული ჯგუფი ცდილობს ფოლკლორული ელემენტის გამოყენებას“ (*Bohdan* 2021). ისეთი ფიგურენ ჯგუფების საერთაშორისო წარმატების წყალობით, როგორიცაა *Dakha Brakha*, *Go A* ან *ტორონტოში* დაფუძნებული *Balaklava Blues*, უკრაინულმა ხალხურმა მრავალხმიანობამ - იუნესკოს აღორძინების პროექტების დამხმარე

⁶ როგორც დრეკო, ბოჟიჩი, როჟანისტია, შჩიკა რიბა, დივინა, ვილჩე და ა.შ

ინფრასტრუქტურის გარეშე - შეაღწია გლობალურ ცნობიერებაში. თუმცა, ეს ვერ ხსნის, თუ როგორ გაჩნდა უკრაინული მრავალხმიანი სიმღერების შემსრულებლობა ტორონტოში.

უკრაინული მრავალხმიანობა ტორონტოში

როგორც ადრე აღვნიშნე (2023), უნდა ვაღიაროთ რომ დიასპორაში უკრაინულობის სხვადასხვა ხარისხი არსებობს. ჩემნაირმა ადამიანებმა, მესამე თაობის კანადელმა-უკრაინელებმა, რომელთა ძირითადად გაუნათლებელი ბებია-ბაბუები 1920-იანი წლების ბოლოს ემიგრირდნენ, მემკვიდრეობით უკრაინული კულტურის ძალიან დახშობილი გამოხატულება მივიღეთ. ჩვენ თავს უკრაინელებად ვთვლით, თუმცა იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი კონკრეტული კულტურული საფუძვლის გარეშე. თუმცა, თანამედროვე ცხოვრებისეული გარემოებები იმას ნიშნავს, რომ ბევრმა ახლადჩამოსულმა ემიგრანტმაც შეიძლება უკრაინულობის გრძნობა თავშეკავებულად გამოხატოს. შედარებისთვის, ტორონტოში ცხოვრობს უკრაინელების ძალიან ექსპრესიული ჯგუფი, რომლებიც 1940-იანი/1950-იანი წლების ემიგრანტების, ბიზნესმენებისა და ინტელექტუალების შთამომავლები არიან. ამ უკრაინელმა ემიგრანტებმა შექმნეს განვითარებული კულტურული ინფრასტრუქტურა (სკოლები, ბანაკები, ბიჭებისა და გოგონების კლუბები, საცეკვაო სტუდიები, გაზეთები და ა.შ.), რამაც განაპირობა უკრაინელების მაღალფუნქციური, იზოლირებული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლებიც შეგნებულად ახდენდნენ თავიანთი კულტურული იდენტობის ინსტიტუციონალიზაციას (იხ. Baczynskyj (2009) და Sonevystky (2019)). ამ დიასპორაში მრავალი ფოლკლორული ელემენტიგადარჩადაგავრცელდა. აღნიშნავენმნიშვნელოვან კალენდარულ ღონისძიებებს, როგორიცაა კოლიადა, მალანკა, ჰაივკი, ივანა კუპალო და სხვა, მაგრამ, სავარაუდოდ, მაინც არსებობს შეგრძნება, რომ რაღაც დახშული ან არაავთენტურია. ტორონტოში უკრაინული მრავალხმიანობის შემსრულებლები, რომელთაგან ყველას არ აქვს უკრაინული ფესვები, გამოჩნდნენ პრაქტიკიდან, რომელიც დაახლოებით 2011 წელს დაიწყო ხალხურ ხელოვნებაზე დაფუძნებული მულტიკულტურული საზოგადოების „კოსა კოლექტივის“ (კოსა) შექმნით, რომელიც კანადურ-უკრაინული მულტიკულტურული საზოგადოებაა, ტორონტოს ხალხური ხელოვნების თემს ეფუძნება, და დაარსებულია მეორე და მესამე თაობის კანადელი უკრაინელების მიერ, მათი ინსტიტუციონალიზებული დიასპორული უკრაინიზმის დახურული ბუნების საპასუხოდ. ისინი მღერიან რეპერტუარს, რომელიც ტორონტოს დიასპორის დიდი ნაწილისთვის უცხოა და სრულდება სტილში, სახელად „რიდნიი ჰოლოს“ (მშობლიური ხმა), სადაც გამოყენებულია მაღალი ხმა მკაფიო ტემბრით, აქვს გამორჩეულ ინტონაციები და ფრაზირება,

იყენებს ასევე ვოკალურ ტექნიკებს, როგორიცაა მელიზმები, სრიალი, შეძახილი და ა.შ. როგორც ადრე აღვნიშნე, სიმღერის კვალი უკავშირდება ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბოჟენა ჰრიცინას, რომელმაც სიმღერის სურვილი 2009 წელს უკრაინაში მიღებული თავისი გამოცდილებიდან დააბრუნა. მას უჭირს ახსნას, თუ რატომ სურდა სიმღერა, თუმცა ეს კოსას სხვა ხალხურ ფორმებთან ერთად მიმდინარეობდა (ხელსაქმე, კონსერვების დამზადება, კერძების მომზადება, კვერცხის მორთვა, ქარგვა და ა.შ. და დაეხმარა მას „ავთენტური“ ფოლკლორის აღორძინებაში, რაც მას ზოგჯერ აშორებდა კანადურ-უკრაინული მემკვიდრეობისგან, რომელიც „მოულოდნელად [და ზოგჯერ მტკივნეულადაც] „ყალბად“ ან ხელოვნურად ეჩვენებოდა (ბ. ჰრიცინა - Kuzmich, 2024: 272-3). კოსას ჰაივკის (ანუ 2015 წლის გაზაფხულის) აღნიშვნის გახსენებისას, ხაზი გავესვი იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ სიმღერა არ იყო მომზადებული სცენისთვის, არამედ ჩართული იყო ხალხური ხელოვნების კოლექტიური გამოხატვის ინტერდისციპლინურ გამოცდილებაში (იხ. ვიდეო მაგალითი 3; ასევე იხ. Kuzmich 2018: 81-82)).

აქ განხილულ თემაზე მუშაობის დროს, COVID-ის გამო, ჰაივკი არ აღინიშნებოდა, თუმცა ზამთრის საგალობლები (კოლიადა) და მალანკა (ახალი წლის აღნიშვნა) 2023 წლის დასაწყისში განახლდა, ხოლო ახლადშექმნილმა კამერულმა ხალხურმა გუნდმა მუშაობა 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო, რაც დისციპლინირებული სიმღერის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელიც გარკვეულწილად აკლდა ძველ მოდელს/პრაქტიკას და, როგორც ჩანს, უკვე გააუმჯობესა სიმღერის ხარისხი ფართო საზოგადოებაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მუსიკა არასდროს არის წარმოდგენილი მხოლოდ როგორც „სასცენო“ მუსიკა და არამედ აღიქმება როგორც „ერთობლივი შესრულება“, ანუ როგორც უფრო დიდი სინესთეტიკური სოციალური ფენომენის ნაწილი - რაც ჩანს გუნდის საგაზაფხულო გასეირნებაში, სადაც ისინი ტორნტოს პარკების ტყიან ტერიტორიაზე გაზაფხულის სიმღერებს ასრულებენ; ან როგორ იყენებენ ისინი ცეკვას და როგორ იზიდავენ მაყურებელს წარმოდგენების დროს.

სიმღერა, ისევე როგორც სხვა ხალხური აქტივობა, რომლებსაც ისინი იყენებდნენ, სწავლობდნენ ან ხელს უწყობდნენ, ამ საზოგადოების ენერგიის წყაროს წარმოადგენდა, რადგან მათ შეეძლოთ ადამიანებთან კავშირის დამყარება სიტყვების გარეშე. ამ შემოქმედებითი აქტივობის წყალობით, მიზნები უფრო სუფთა გახდა, მათი უკრაინულ-კანადური მემკვიდრეობის იზოლაცია წაიშალა და ავთენტურობის განცდა აღდგა.

დასკვნა

თუ მრავალხმიანობა სამშობლოში მცხოვრები ქართველებისთვის მნიშვნელოვანი მოთამაშეა და ყველანაირი ინსტიტუციური მხარდაჭერა აქვს, ტორონტოს ახლად ჩამოყალიბებულ დიასპორაში მრავალხმიანობა სულაც არ არის მთავარი გმირი და მას თანაგრძნობით აღსავსე დიასპორაშიც კი უჭირს თავისი აქტივობის შენარჩუნება. უკრაინელებისთვის მრავალხმიანობა მივიწყებული და გაუფასურებული იყო, ის ღრმად დაფარული რჩებოდა უკრაინის სოფლებში მცხოვრებ მოხუცებთან. მაგრამ მან მოულოდნელად მხარდაჭერა ჰპოვა არა მხოლოდ პოპულარულ კულტურაში, არამედ ტორონტოს დიდი ხნის უკრაინული დიასპორის პერიფერიაშიც - ზონაში, რომელიც დასახლებული იყო როგორც უკრაინელებით, ისე არაუკრაინელებით, რომლებიც რეაგირებდნენ იმაზე, რაც უფრო ძლიერად და ავთენტურად აღიქმებოდა.

ტორონტოში ამ ტრადიციების შენარჩუნება საჭიროებს რესურსებს კვლევას, გადაცემასა და რეგულარულ პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული დიასპორის რესურსები გარკვეულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს, სამწუხაროდ, დასავლეთ ნახევარსფეროში არ არსებობს საქველმოქმედო ინსტიტუციები, რომლებიც ქართული კულტურული გამოხატულებების საკითხებზე მუშაობენ.

სიმღერით გამოწვეული უზარმაზარი კოლექტიური სიხარული, როგორც ჩანს, ორივე კულტურისთვის გარკვეულწილად გაგრძელებას უზრუნველყოფს, თუმცა ეკონომიკური გამოწვევა ორივესთვის მაინც რჩება. იმედი მაქვს, რომ ტორონტოს საგუნდო და მსოფლიო მუსიკის საზოგადოებები, ასევე სხვადასხვა სახელოვნებო საბჭოები, უფრო მეტად აღიარებენ ტრადიციულ მრავალხმიანობას, როგორც ჟანრს და კარს გაუხსნიან შესრულების, სემინარების, პროფესიული და საზოგადოებრივი განვითარების მეტ შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო გააღრმავებს ამ მუსიკალურ ტრადიციებს.

ვიდეო მაგალითები

ვიდეომაგ. 1. ფრაგმენტები ტორონტოში „დარბაზის“ ერთ-ერთი წევრის სახლში 2014 წელს გამართული წვეულებიდან; და მელანკა კოსას 2023 წლის აღნიშვნა ტორონტოს ბელარუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში

ვიდეომაგ. 2. 2019 წლის სალოტბარო სკოლის ფესტივალის ფრაგმენტები (სრული ვიდეო ხელმისაწვდომია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის YouTube არხზე <https://www.youtube.com/watch?v=snrxfw2BDb4>)

ვიდეომაგ. 3. 2015 წლის კოსა ჰაივკის აღნიშვნის ფრაგმენტები. რედაქტირებულია უკრაინული სატელევიზიო საინფორმაციო ჟურნალის Toronto Forum TV-ის მასალების მიხედვით, 2015 წლის 25 აპრილი. (<https://www.youtube.com/watch?v=RHXfFRfGses&t=1706s>)